ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ოქმი N 4

ხარაგაული 16 ნოემბერი 2022 წელი

სხდომის დაწყების დრო: 15 საათი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ შემდეგი წევრები:

1.ლალი სებისკვერაძე

2.მაკა ქასრაშვილი

3. ვალერი გოგნაძე

4. როლანდი ცუცქირიძე

5.ნატო შათირიშვილი

6.რევაზ შერგელაშვილი

7.ავთანდილ კვინიკაძე

8.ჰამლეტ ბერაძე

9.მარიკა ხარატიშვილი

10.მანანა ტაბაშიძე

11. ნინო ჭიპაშვილი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი . მერის თანაშემწე გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში ინგა ბერაძე.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ქალბატონი ინგა ლურსმანაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე: ვალერი გოგნაძე.

სხდომის მდივანი : სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეს საჯარო სკოლის დირექტორი ნატო შათირიშვილი

სხდომა გახსნა თავმჯდომარემ, ვალერი გოგნაძემ,მან სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

მუნიციპალიტეტის მერის დავალებით ბიუჯეტის პროექტის გაცნობა მერის მრჩეველთა საბჭოსთვის. 2023 წლის ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებები ინფრასტრუქტურის, სოციალური სფეროს , ჯანდაცვის, განათლების და კულტურის კუთხით.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხრე:11

წინააღმდეგი:0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

საკითხი 1. მუნიციპალიტეტის მერის დავალებით ბიუჯეტის პროექტის გაცნობა მერის მრჩეველთა საბჭოსთვის. 2023 წლის ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებები ინფრასტრუქტურის, სოციალური სფეროს , ჯანდაცვის, განათლების და კულტურის კუთხით.მომხსენებელი მერის პირველი მოადგილე ვალერი ჭიპაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულომ 2022 წლის 21 დეკემბერს უნდა დაამტკიცოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი, მრჩეველთა საბჭო ვალდებულია განიხილოს წარმოდგენილი ბიუჯეტი.მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ხარჯვისას არ იქნება არამიზნობრივი ხარჯები.

2023 წლიდან სხვა ძირითად საკითხებთან ერთად პრიორიტეტულია ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა, მრავალშვილიანების, მარტოხელა დედების დახმარება,სხვადასხვა ინფრასტრუქრურული პროექტები. ჩვენ მაქსიმალურად

ვცდილობთ ბიუჯეტის მიღებისას დავიცვათ გამჭვირვალობა, რადგან ეს მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტია და მისი შედგენისას მნიშვნელოვანია მოვისმინოთ საზოგადოების ხმა. სწორედაც საზოგადოებას წარმოადგენენ საბჭოს წევრები , რომლებიც თავიანთ სფეროში კომპეტენტური ადამიანები არიან და აქტიურად თანამშრომლობენ მუნიციპალიტეტის მერთან და მერიასთან.

პოზიტიური საკითხი რაც 2023წელსაც გაგრძელდება არის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტი, სადაც ნათლად ჩანს მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა. შვიდმა პროექტმა მოიპოვა გამარჯვება წინა წელს. .აღნიშნული პროექტები 2023 წელსაც განხორციელდება და უფრო მეტი წინადადებები დაფინანსდება.

მერის მოადგილემ დაწვრილებით ისაუბრა ბიუჯეტის თვითეულ პუნქტზე და საბჭოს წევრებს დაწვრილებით მიაწოდა ინფორმაცია.

2023 წლის ბიუჯეტში პრიორიტეტი კვლავ სოციალურ, კულტურულ და ინფრასტრუქტურულ მიმართულებებს მიენიჭება. აქტიური მოქალაქეები ბრძანდებით, ველოდებით, რომ გაეცნობით ბიუჯეტის პროექტს და თქვენ შეხედულებებსა და წინანდადებებს გაგვაცნობთ, რომლებიც ჩვენ უფლებამოსილებებსა და შესაძლებლობებთან შესაბამისობაში იქნება, აღნიშნა ვარლამ ჭიპაშვილმა შეხვედრაზე.

აზრი გამოთქვა: მანანა ტაბაშიძემ , მან შეკითხვა დასვა მიუსაფარ ძაღლებთან დაკავშირებით და მოითხოვა ამ პრობლემის მოგვარებაზე მეტი ყურადღების გამახვილება მერიის მხრიდან.

ასევე აზრი გამოთქვა უსინათლოთა თემის წარმომადგენელმა , მადლობა გადაუხადა მერიას გაწეული დახმარების გამო და ითხოვა მომდევნო წლის ბიუჯეტშიც გათვალისწინებული იყოს მათი საჭიროებები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან .

დაკავშირებით სხდომა შეწყდა.

სხდომის დასრულების დრო 17 საათი

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე: ვ.გოგნაძე /ვ.გოგნაძე/
მრჩეველთა საბჭოს მდივანი ნ. შათირიშვილი /ნ. შათირიშვილი/